



დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვადეების საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

მედია მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	<i>სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვადეების საჯარო სკოლა</i>
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053715

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულო
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვადეები, პირველი ქუჩა N5 ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა დეკანაშვილები, პირველი ქუჩა N31
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dzirkvadzebi@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577150122

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	03/09/2024 წლის MES 7 24 0001054231 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 24-25 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	შენობა 1 ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5 შენობა 2 ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა დეკანაშვილები, პირველი ქუჩა N31
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ძირკვაძეები, პირველი ქუჩა N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა



მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 94	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი



ინდიკატორი		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (28.10.2024-28.10.2025) მოიპოვოს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

¹ გარდ მეთოდი სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (03.10.202- 03.10.2025) მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში (11.11.2024-11.11.2026) მოაგვაროს შენობის მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსია ან ლიფტის დამონტაჟება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმი განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამურ საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ბუნებისმეტყველება - სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.11.2024-15.01.2025), მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში უზრუნველყოს შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალებების განსაზღვრა. ასევე, მე-2 მე-3 კლასის კურიკულუმებში, თითოეულ თემაში განსაზღვროს მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	მუსიკა/ხელოვნება - სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.01.2025-15.09.2025), ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) უზრუნველყოს სერტიფიცირებული მასწავლებლის დასაქმება

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.11.2024-18.11.2025) უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის მეტერიალური რესურსით (კერძოდ საუბარია სხვადასხვა ხელსაწყოებზე, პლაკატებსა თუ მოდელებზე) სკოლის აღჭურვა, რათა მიღწეულ იქნეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.11.2024-18.11.2025) უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის და საკმარისი



	მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	რაოდენობის რესურსის შეძენა, რათა მიღწეულ იქნეს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შედეგები.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	მუსიკა/ხელოვნება - სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.01.2025-15.09.2025), ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) უზრუნველყოს სერტიფიცირებული მასწავლებლის დასაქმება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმი განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამურ საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.11.2024-15.11.2025), საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვროს მრავალფეროვანი აქტივობები. რაც გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, პრაქტიკულ დავალებებს, აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პროექტულ სწავლებას. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.11.2024-18.11.2025) უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის მატერიალური რესურსით (კერძოდ საუბარია სხვადასხვა ხელსაწყოებზე, პლაკატებსა თუ მოდელებზე) სკოლის აღჭურვა, რათა მიღწეულ იქნეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.



ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.11.2024-18.11.2025) უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის და საკმარისი რაოდენობის რესურსის შეძენა, რათა მიღწეულ იქნეს საგნობრივ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგები.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.01.2025-15.9.2025), ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) უზრუნველყოს სერტიფიცირებული მასწავლებლის დასაქმება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
--------------	--------------------	-------



	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ კათედრა მეტად ითანამშრომლებს, კერძოდ, IV; V; VI კლასის მასწავლებლები გაიზიარებენ I-III კლასის მასწავლებლების გამოცდილებას ბუნებისმეტყველების კურსკულუმზე მუშაობისას. უცხოური ენები: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს და შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმატზე, სტილზე. მოხდეს კურიკულუმების (ინგლისური, რუსული) გადახედვა, რევიზია და შეივსოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმები შეიქმნას დაწყებითი საფეხურის სტანდარტზე დაყრდნობით: ჩასწორდეს სამიზნე ცნებები, გამოიკვეთოს ძირითადი საკითხები. დაწყებით საფეხურზე დამუშავდეს და გააქტიურდეს სამიზნე ცნება „კულტურათა დიალოგი“. ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებისას უფრო სრულყოფილად შეივსოს სავალდებულო სტრუქტურული ერთეულები. სრულად დაიფაროს ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებები. სახელმწიფო ენა: სასურველია შეივსოს რესურსების ველიც, რათა კურიკულუმი მოიცავდეს ყველა აუცილებელ ელემენტს
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	უცხოური ენები: სასურველია, ინგლისური ენის მე-3 კლასის, რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაიწეროს კომპლექსური დავალების პირობა, სადაც გამოჩნდება ცოდნის კონსტრუირება, პროდუქტი და შეფასების კრიტერიუმები. სასურველია ინგლისური ენის მე-3, მე-5,



		მე-6 კლასების, რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმს დანართის სახით დაერთოს თემატური მატრიცები, სადაც გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ IV; V; VI კლასის მასწავლებლები გაიზიარებენ პირველი კლასის მასწავლებლის გამოცდილებას ბუნებისმეტყველების კურსკულუმზე მუშაობისას. სახელმწიფო ენა: საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამ თუ იმ დავალების ფარგლებში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, დაკონკრეტდეს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს. კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სასურველია
--	--	---



		თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები მე და საზოგადოება მე-3, მე-4 კლასები). სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები მე და საზოგადოება მე-3, მე-4 კლასები) კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმები. ჩასწორდეს სამიზნე ცნებები და მასში შემავალი საკითხები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. მათემატიკა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები ასევე სასურველია საგნობრივი კურიკულუმში განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	უცხოური ენები: კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას. მათემატიკა: სასურველია ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში დეტალურად იყოს განსაზღვრული სასწავლო რესურსი. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი. ასევე მატერიალური რესურსი.



ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები: სასურველია, კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	უცხოური ენები: სასურველია, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. სახელმწიფო ენა: წარმოდგენილი რუბრიკები არის ზოგადი. შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისთვის (როგორც განმსაზღვრელი (მეხუთე-მეექვსე კლასისათვის), ისე განმავითარებელი) მათემატიკა: სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება /დამუშავებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკები ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების მიმართულებით დაეფუძნოს საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე



		ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია მასწავლებელმა შექმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოიყენოს განმავითარებელ შეფასების რუბრიკა სოლოტაქსონომის მიხედვით, რომელიც შედგე ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მიეცემა მოსწავლეს). ვინაიდან კომპლექსური დავალება აუცილებლად მიემართება რომელიმე სამიზნე ცნებას, მოსწავლის შეფასებაც დაკავშირებულია ამ სამიზნე ცნებებთან. მკვიდრ წარმოდგენებთან, რომლებიც კრიტერიუმების სახით კომპლექსური დავალების პირობაში უნდა იყოს ჩაშენებული. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	უცხოური ენები: კათედრამ წარმოადგინა მე-5 კლასის ინგლისური ენის შემაჯამებელი დავალების ანალიზი. სასურველია, დავალების თავისებურებების გათვალისწინებით, ინდიკატორების ჩამოყალიბება სტანდარტზე დაფუძნებით და მოსწავლის მიღწევის დონეების გამოყოფა. უმჯობესია ქულები ყოველი კრიტერიუმის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე მიუწეროთ – ეს გამორიცხავს



		ყოველგვარ გაუგებრობას ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, ანალიზში ჩანდეს გამოვლენილი საჭიროებები და შესაბამისად, პრობლემის დაძლევის სტრატეგიები. კათედრის მიერ წარმოდგენილია პროექტის გეგმა ინგლისურ ენაში მე-3 კლასში, რომელსაც არ ახლავს ინფორმაცია პროექტის ამოცანებსა და მათი განხორციელების გზებზე. სამომავლოდ, კათედრამ შეიმუშავოს პროექტის ანგარიშის გეგმა, სადაც მკაფიოდ აღიწერება პროექტის ვადები, განხორციელების მიმოხილვა, წარმოშობილი სირთულეები და მათი დაძლევის გზები, მიღწეული შედეგები, გადაჭრილი პრობლემა, შესრულებული ამოცანა, მიღებული შედეგების მდგრადობა. ასევე სასურველია, ყველა თემის ფარგლებში შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია თუ მე-5 მე კლასის პედაგოგები ითანამშრომლებენ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრასთან და გაიზიარებს მათ გამოცდილებას შეფასების რუბრიკების შედგენისას (იგულისხმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები).
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	უცხოური ენები: სასურველია დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება და მათი მითითება, დაკონკრეტება შესასწავლი თემების მიხედვით. კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია მასწავლებელმა მოახდინოს სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის https://school.emis.ge/ გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნულ პლატფორმაზე მოცემული კომპლექსური დავალების ბარათები და მასში ჩაშენებული აქტივობების ბმულები შეიტანოს ყველა კლასის კურიკულუმის მე-6 ცარიელ სვეტში „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“.



ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: დაწყებით საფეხურზე, I-IV კლასებში სპორტს ასწავლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგი, სასურველია საგანს ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომელთაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია.
--------------------	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის წევრები მეტად ითანამშრომლებენ და შეიმუშავებენ ერთიან კურსკულუმის ფორმას, ასევე დაგეგმვენ ინტეგრირებულ შემოქმედებით დავალებებს. უცხოური ენა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს და შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმატზე. მოხდეს კურიკულუმების (ინგლისური, რუსული) გადახედვა, რევიზია და შეივსოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. საბაზო საფეხურის კურიკულუმები შეიქმნას საბაზო საფეხურის სტანდარტზე დაყრდნობით: ჩასწორდეს სამიზნე ცნებები, გამოიკვეთოს ძირითადი საკითხები. სახელმწიფო ენა: კურიკულუმში სასურველია შეივსოს რესურსების ველიც, რათა კურიკულუმი მოიცავდეს ყველა აუცილებელ ელემენტს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	უცხოური ენები: სასურველია, კათედრამ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად და შემოქმედებითად ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის, დაგეგმოს მეტი კომპლექსური ტიპის დავალებები, სასწავლო პროექტები



		და ინტეგრირებული გაკვეთილები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები შესთავაზებენ უფრო მეტ და მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებებს მოსწავლეებს, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა კვლევა/ესპერიმენტი, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მოდელების დამზადება იაფი ტექნოლოგიების გამოყენებით და სხვა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, დაკონკრეტდეს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს. კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება ასევე სასურველია, თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო). მათემატიკა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები (მაგ: მე-7 კლასში თემაზე ფარდობა პროპორცია). სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს
--	--	--



		კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ. სასურველია პროექტების გეგმაში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი განხორციელებული აქტივობები. სახელმწიფო ენა: საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	უცხოური ენა: კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი. ასევე მატერიალური რესურსი.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა: სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება /დამუშავებაზე. სახელმწიფო ენა: წარმოდგენილი რუბრიკები არის ზოგადი. შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისთვის (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) უცხოური ენა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა



		თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკებში ისტორია, სამოქალაქო, გეოგრაფიის მიმართულებით დაეფუძნოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე და მიზნებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველის ფიზიკის პედაგომა ითანამშრომლოს ქიმიის და ბიოლოგიის პედაგოგთან და გაიზიაროს მათი გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების შედგენისას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	უცხოური ენა: კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა რუსულ ენაში (მე-9 კლასი), სადაც არ ჩანს რომელი სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზეა მიმართული. რუბრიკების შედგენისას, სასურველია, მკაფიოდ გამოიჩინოს რომელი სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზეა კომპლექსური დავალება და რამდენად მართებულად ეფუძნება მკვიდრ წარმოდგენებს. რუბრიკას ახლავს ორი მოსწავლის (ორივე-მიმართებით დონეზე) მიღწევების შეფასება და განმავითარებელი კომენტარი. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, ერთი და იგივე დავალებას სხვადასხვა მოსწავლე



		სხვადასხვა ხარისხით შეასრულებს და შესაბამისად, შეფასება და განმავითარებელი კომენტარი განსხვავებული იქნება.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა: სასურველია შეივსოს რესურსების ველიც, რათა კურიკულუმი მოიცავდეს ყველა აუცილებელ ელემენტს უცხოური ენები: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს და შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმატზე. მოხდეს კურიკულუმების (ინგლისური, რუსული) გადახედვა, რევიზია და შეივსოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. საშუალო საფეხურის კურიკულუმები შეიქმნას საშუალო საფეხურის სტანდარტზე დაყრდნობით: ჩასწორდეს სამიზნე ცნებები, გამოიკვეთოს ძირითადი საკითხები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: - კარგი იქნება თუ კათედრის წევრები მეტად ითანამშრომლებენ და შეიმუშავენ ერთიან კურსკულუმის ფორმას, ასევე დაგეგმავენ ინტეგრირებულ შემოქმედებით დავალებებს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: სასურველია მე-11 კლასის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ უცხოური ენები: სასურველია, საშუალო საფეხურზე, უცხოური ენის კათედრამ დაგეგმოს და განხორციელოს საგანთაშორისი აქტივობები, სასწავლო პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, დაკონკრეტდეს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს. კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება; სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო) სახელმწიფო ენა: საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი. ასევე მატერიალური რესურსი უცხოური ენები: უცხოური ენის (ინგლისური, რუსული) კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება (ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები), რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: სასურველია პროექტების გეგმაში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი დიფერენცირებული მიდგომები
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები: შეფასების რუბრიკები ისტორია, სამოქალაქო, გეოგრაფიის მიმართულებით დაეფუძნოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: წარმოდგენილი რუბრიკები არის ზოგადი. შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისთვის (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი). უცხოური ენები: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია ფიზიკის პედაგოგმა ითანამშრომლოს ქიმიის და ბიოლოგიის პედაგოგებთან და გაიზიაროს მათი გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების შედგენისას.

		სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფროდაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	უცხოური ენები: სასურველია, კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნას ძირითადი საკითხისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ხარვეზები ექსპერტების მიერ დაფიქსირებული იყო მესამე და მეორე სტანდარტში. მესამე სტანდარტში ინდიკატორი N 3.4.1.1, ინდიკატორი N3.4.1.1, ინდიკატორი N3.4.1.6 და ინდიკატორი N3.5.1.4.

აღნიშნული ხარვეზებიდან გამოსწორდა ინდიკატორი N3.4.1.6 -ის ხარვეზი და შესაბამისად დაკმაყოფილებულია ინდიკატორი, ხოლო N3.4.1.1 და N3.5.1.4 გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, რაზეც ჩვენ მიერ გაიცა რეკომენდაციები.

მეორე სტანდარტში რეკომენდაციები გაიცა სამივე საფეხურზე ქვემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით.

დაწყებითი საფეხური: ინდიკატორი N 2.1.2.2. ინდიკატორი N 2.2.2.4.

საბაზო საფეხური: ინდიკატორი N 2.1.2.3. ინდიკატორი N2.2.2.3. ინდიკატორი N2.2.2.4.

საშუალო საფეხური: ინდიკატორი N 2.1.2.2. ინდიკატორი N 2.1.2.3. ინდიკატორი N2.2.2.3. ინდიკატორი N2.2.2.4.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადებს არსებული საკითხების მოსაგვარებლად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი. სკოლის მისიაა: ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია სკოლის ბაზაზე, ყველა მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსების შექმნა და გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. ამიტომ, მზად ვართ შევქმნათ თითოეულ საგანში სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და ამ რესურსების გამოყენების და გარდაქმნის გზამკვლევები, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პიროვნული და აკადემიური განვითარების მაქსიმალურ მხარდაჭერას და განვითარებას.

ხედვა

სსიპ -ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვამეების საჯარო სკოლის ხედვაა სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობას შეეძლოს იყოს რეალიზებული, მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით შექმნას ინტელექტუალური კაპიტალი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
- სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი, გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს საჭიროებები და ხელს უწყობს განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას, რაშიც სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებებიც ეხმარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის N 01-03/15 ბრძანებით შექმნილია სკოლაში სამუშაო ჯგუფი რომელიც მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის საკითხებზე, რომლებმაც შეიმუშავეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ჯგუფი მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით (სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, პედაგოგები). სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის 2 ოქმი, რითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
- დოკუმენტზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ორგანიზებული იყო შეხვედრები, სადაც წარდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ვერსიები მისიის, ხედვისა და ღირებულებების. ინტერვიუების პროცესში სკოლის დირექციამ განმარტა, რომ უფრო მეტი ჩართულობისა და ინფორმირებულობისათვის საბოლოო განხილვა მოხდა სკოლის დარბაზში, რის შედეგადაც იყო მიღებული საბოლოო დოკუმენტის საბოლოო სახე. ყველა აღწერილი აქტივობა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის საიტზე და გამოკრულია სკოლის ფოიეში პირველ სართულზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
- სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა“. რაც დასტურდება სკოლის წესდებით, ამონაწერით მეწარმეთა და საჯარო რეესტრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები
- ბრძანება N 01-03/15 (19.06.2024) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან;
- ინტერვიუ დირექციასთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს და აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2023-2030 წლებს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 7 სტრატეგიული მიზანი: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. ადამიანური რესურსის განვითარება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა; 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; 6. მოსწავლეთა მხარდაჭერა. 7. ორგანიზაციული განვითარება.



სკოლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია მისიათან, ამოცანები უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნების 7 წლიან პერიოდში შესრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმას. ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია შვიდივე სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, რომელიც ეფუძნება 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშს, SWOT-ანალიზს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია 7 სტრატეგიული მიზანი, რაც სტრატეგიულ გეგმაშია წარმოდგენილი. სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და ამოცანების შესრულებისათვის შესაბამისი აქტივობები. აქტივობების გაწერილია თვეების მიხედვით, ანუ განსაზღვრულია რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და ის რესურსი რომელის საშუალებითაც შესაძლებელია აქტივობების განხორციელება. ასევე განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
3. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებას. შემდეგ სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;



სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისათვის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს წლიურ ფინანსურსა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშს. ასევე ანგარიში გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.
2. SWOT ანალიზი.
3. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
სკოლას აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები და ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს, გაზიარებული აქვთ გუნდური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. მასწავლებლებს სტატუსის მიხედვით ჰქონდა გაწერილი ფუნქციები და თითოეულმა თანამშრომელმა იცის საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
2. შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლას დამტკიცებული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომელიც Eschool-შია განთავსებული. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებების ანალიზის შედეგად, კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვას, იგი ეხმარება სკოლას საკუთარი პერსონალის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაში. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი პროცესები, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს განვითარებაში, უზრუნველყოფს მათ ჩართვას სხვადასხვა ტრენინგებში. სკოლაში წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ხდება ურთიერთდასწრებები საგაკვეთილო პროცესზე. გარდა პედაგოგებისა სკოლა ასევე ზრუნავს სხვა პერსონალის განვითარების ხელშეწყობაზე. დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს როგორც ინტერვენციული ასევე პრევენციული მიდგომები პერსონალის მართვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს (კანონმდებლობის შესაბამისად) ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge-ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელშიც წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში 17 მასწავლებლიდან 1 მენტორი(ფიზიკა-მათემატიკის), 1 წამყვანი (ისტორიის), 14 უფროსი, 1 მასწავლებელი უსტასო (სპეცმასწავლებელი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი. ვიზიტის პროცესში სკოლის გუნდში პასუხისმგებლობა გადანაწილებული იყო და თანამშრომლობითი მიდგომებიც ნათლად იყო წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა და ა.შ). სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთობლივად გეგმავენ საგანმანათლებლო პროექტებს, აქტივობებს, ღონისძიებებს. სკოლის დირექცია მართავს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა გამოცდილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, იგეგმება



ისეთი აქტივობები, რომელიც ყველა საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც სოციალურ და თანამშრომლობით უნარ-ჩვევების განვითარებს. სკოლა აქტიურად ავრცელებს სოციალურ ქსელში თითოეული თანამშრომლისა და მოსწავლის წარმატებას, რაც აღიარების ერთ-ერთი საშუალებაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
2. <https://www.facebook.com/dzirkvadzeebis.skola>
3. Eschool-ის ბაზა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. დირექცია ეტაპობრივად ახორციელებს დოკუმენტით გათვალისწინებული დებულებების სასკოლო საზოგადოებაში გაცნობას, დამკვიდრებასა და გამოყენებას. ასევე გათვალისწინებულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად ეცნობა სიახლეებს, აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად. გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. აღსანიშნავია, რომ როგორც მაღლმთიან რეგიონს საკმაოდ უჭირთ კადრების მოზიდვა და შესაბამისად მაქსიმალურად უწყობენ ხელს ადაპტაციაში



და თითოეული თანამშრომელი ზრუნავს ახალი კოლეგისათვის სამუშაო პირობების შექმნაზე. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რაც მათ უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N01-03/41, 25.09.2024 წ.);
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის გამოცხადების პირობები;
4. სერტიფიკატები;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. რომლის მიზანი დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. გამოვლენილ მიგნებებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. განავითარე - მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დირექცია განსაზღვრავს გაუმჯობესების გზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
- სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა: სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, რომლებიც ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას უზრუნველყოფენ ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. ისინი ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის, წესდების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. მაგ: ბრძანება - მრჩეველთა საბჭოს შექმნაზე, რომელშიც განსაზღვრულია პირები, შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობები. ასევე სამოქმედო გეგმაში ჩანს, კონკრეტულ საქმეზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
- აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების სრული დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განაცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების, მათზე რეაგირების და წარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. ასევე სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (ბრძანება N01-03/40. 25.09.2024) მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. რომელშიც გაწერილია საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. ასევე სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები პერსონალთან, მშობლებთან, რომელშიც გათვალისწინებულია ორივე მხარის უფლებები და პასუხისმგებლობები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კანონიერი უფლებების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი (ბრძანება N01-03/40, 25.09.2024);
- საშტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, ანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები არიან ჩართული არიან სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/49 ბრძანებით, რომელშიც გაწერილია მშობლის ინფორმირებისა და უკუკავშირის მექანიზმები.

მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეთა



თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). პედაგოგიურ საბჭოში სკოლის ყველა მასწავლებელია გაერთიანებული. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია აქტივობები ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობელთა ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია) ბრძანება N01-03/49, 25.09.2024 წ.;
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შესაძლებელია

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო



უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნავს სკოლის დარაჯი, რომელიც სკოლის შემოსასვლელს აკონტროლებს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო სათვალთვალო სისტემით. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი, შესვენების დროს კი კლასის დამრიგებელი. შენობაში შემოსული სტუმარი ტარდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია მოწესრიგებული და გამართული სველი წერტილი (მათ შორის ადაპტირებული), სკოლა უზრუნველყოფს პერსონალსა და მოსწავლეებს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო



სასმელი წყლით, შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ორი ან მეტი ფანჯარა.

სკოლამ ვიზიტის დროს დაამტკიცა (ბრძანება N01-03/51, 25.09.2024) და შესათანხმებლად გადააგზანა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. 2024 წლის 3 ოქტომბერს აღნიშნული სამსახურის მიერ შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა წერილი N MIA 52403028155.

შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, განთავსებულია ცეცხლმაქრები. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის მიწერილობა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარმოდგენილია 2024 წლის 07 ოქტომბრით გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანია: სსიპ -სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სარვისების სააგენტოსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადება.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან გააფორმებული მომსახურების ხელშეკრულება №-476, 07.11.2024.

რეკომენდაცია:

- სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (28.10.2024) მოიპოვოს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
- სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (03.10.2025) მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/5/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად.
სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი 2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/48 ბრძანებით.



დოკუმენტი არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუწარმოთ ადამიანს ჯანმრთელობა. ექთნის სამუშაოს აღწერილობებში გაწერილია ექთნის ფუნქციები, ექთნის ფუნქციაა „მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე. აღრიცხვის ჟურნალში ფიქსირდება მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტები. ექთნის კომპეტენციები შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებთან. სამედიცინო კაბინეტი არის N1 შენობაში, თუმცა N2 შენობაში არის პირველადი დახმარების აღმოჩენის ნაკრები, დაწყებითი კლასების მასწავლებელს აქვს გავლილი პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგი. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მასწავლებელი უწევს მოსწავლეს დახმარებას ან უკავშირდება ექთანს, რომელიც მიდის N2 შენობაში და უწევს შესაბამის დახმარებას, ან იძახებს სასწრაფოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N01-03/03, 25.01.2019), რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგ-კურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა, მათ ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობაზე ზრუნვა. სკოლაში იგეგმება და ტარდება ბულინგის და კიბერბულინგის პრევენციული ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში სუფთა და მოწესრიგებული უსაფრთხო გარემოა. სკოლაში დასაქმებულია 5 დამლაგებელი, რომელთაც გადანაწილებული აქვთ სასკოლო სივრცეები დასამუშავებლად. ორივე შენობის სისუფთავეს აკონტროლებს ექთანი. შემუშავებულია მონიტორინგის ფორმა, რომელშიც ასახულია რა სამუშაო უნდა შესრულდეს, ვის მიერ და რა ინტენსივობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/06 (01.03.2024) განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი(საქმისმწარმოებელი). აღნიშნულ ბრძანებაში გაწერილია პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა 2024 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებული ბრძანება N01-03/44 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები/წესი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლაზე განათლების საინფორმაციო მართვის სისტემების მიერ მომარგებული IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხოება.

სკოლა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვას Eschool-ის ბაზაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა პირად საქმეებთან წვდომა აქვს კლასის დამრიგებელს, პირადი საქმეები ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი(2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/48 ბრძანება);
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N01-03/06 (01.03.2024)
3. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება N01-03/03 (25.01.2019);
4. პერსონალურ მონაცემთ დაცვის წესი (ბრძანება N01-03/44, 25.09.2024);
5. სახელმიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთანშეთანხმებული სიტუაციების მართვის გეგმა (MIA 52403028155, 03.10.2024).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 2159 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი (ს.კ.23.06.34.010), რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (04/11/2014 წლის) დგას 2 ნაგებობა (N1 -1926,63კვ.მ, N2- 22,72კვ.მ.). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს N1 შენობაში 2სართულიანი შენობა სადაც მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი და განთავსებულია დირექცია, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, მათემატიკის კაბინეტი, ისტორიის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი. ეზოში არის მოწყობილი სპორტული მოედანი. სკოლას სარგებლობაში აქვს ასევე გადაცემული აქვს 251კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი (ს.კ.23.06.38.029) სოფელ ზემო დეკანაშვილებში სადაც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით არის შენობა 72,94 კვ.მ. ერთსართულიანი შენობა 4 საკლასო ოთახით, სველი წერტილებით, რესურსოთახით. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას აქვს კატალოგი და ჟურნალი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
- სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, რომლებსაც აქტიურად იყენებს სკოლა სხვადასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური. ვიზიტის პროცესში ეზოში კეთდებოდა ყვავილებისათვის გაზონები, აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
- სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, წიგნების გაცემის წესი, წიგნის დამუშავების, აღრიცხვის წესი, სამკითხველო სივრცეში მუშაობის წესი. წარმოებს წიგნების აღრიცხვა ელექტრონულად და მატერიალურად. ყველა წიგნი დამუშავებულია წესის შესაბამისად. წარმოებს წიგნების გაცემის აღრიცხვა, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე სკოლის ნებისმიერი თანამშრომლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
- სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. სკოლის შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი. მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსი არ არის. სკოლაში არ არის შშმ მოსწავლე, თუმცა თუ ჩაირიცხება მას ექნება წვდომა რესურსოთახთან, ლაბორატორიასთან, ბიბლიოთეკასთან, ექიმის ოთახთან, საკლასო ოთახებთან, რომელებიც შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე.
- არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსცენტრთან გაგზავნილი შუამდგომლობის წერილი (MES 8 24 0001490139, 19.11.2024) სმეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის მოწყობის შესახებ.

რეკომენდაცია:



სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში(11.11.2026) მოაგვაროს შენობის მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟება.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლას სივრცეები, დარბაზები, ბიბლიოთეკა, ეზო, მოედანი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. დარბაზში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია დღის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. 2023 წლის ინვენტარიზაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შეესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
სკოლაში არსებობული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლა აქვს 6 კომპიუტერი, 6 ლეპტოპი, 3 პროექტორი, პრინტერი, მულტიფუნქციური პრინტერი. კომპიუტერული კლასი უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს სხვადასხვა დროს მიღებული აქვთ მასწავლებლის ნოუტბუქები (პირველი კლასის მასწავლებელთათვის), მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და კომპიუტერული ბაზა. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ სამუშაო პროცესის, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, არის პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროექტორის გამოყენებასთან დაკავშირებით წინასწარ, ერთი დღით ადრე მაინც



უნდამოხდეს განრიგში ჩაწერა, რომ არ წარმოიქმნას ლოჯისტიკური პრობლემა. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვიზუალური დათვალიერება.
2. 2023 წლის ინვენტარიზაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება N01-03/45, 25/09/2024წ.) ბრძანებების ნუმერაცია და თარიღი, ოქმების ნუმერაცია და თარიღი, ხელშეკრულებების ნუმერაცია თანმიმდევრულია. სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება განცხადებები, რომელთაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. მოქმედებს eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ბრძანებების რეგისტრაცია. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. Eflow-სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
2. Eschool-იგვერდი.
3. საქმისწარმოების წესი (ბრძანება N01-03/45, 25/09/2024წ.).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას



1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე <https://skolebi.emis.ge/> , ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელით <https://www.facebook.com/dzirkvadzebis.skola?mibextid=ZbWKwL> ახორციელებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას. სკოლის დირექტორი ან საჭიროების შემთხვევაში მის მიერ არის განსაზღვრული სათანადო უფლებამოსილი პირი, ვისაც აქვს კომპეტენცია

გავრცელოს ინფორმაცია დაწესებულების სახელით. ეს ადამიანები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში ავრცელებენ სათანადო ინფორმაციებს სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლის მოქმედ ვებ-გვერდზე <http://skolebi.emis.ge/> ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმის ანგარიში. საკონტაქტო ინფორმაცია. სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის გაკეთება მეთოდოლოგიის მიხედვით უწევს ორ წელიწადში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. <https://skolebi.emis.ge/>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 10 დეკემბრის N4 ოქმში წარმოდგენილია 2023 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N01-03/73 16/11/2023). სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის

პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. სკოლას დამტკიცებული აქვს 2024 წლის ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვლილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 10/12/2023;
- ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა(ბრძანება N01-03/73 16/11/2023);
- 2024 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლებების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის

შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელისმომწერით დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირება) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;

- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას



განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოთხოვნა ეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლაში ფუნქციონირებს მხატვრული წრე. პედაგოგს შემუშავებული აქვს თემატური გეგმა. წრე უფასოა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს არსებული მომსახურებით. გარდა აღნიშნული წრისა ნებისმიერი მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობა არის წინასწარ გაეცნონ არსებულ შეთავაზებას. ასეთი ტიპის ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა სოციალურ ქსელში ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას სერვისებისა და აქტივობების შესახებ. ნებისმიერი დამატებითი მომსახურება, რომელსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეს ინფორმირებულია მოსწავლეც და



მისი მშობელიც, სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის არის გადამოწმებული და შეთანხმებული სკოლის ადმინისტრაციასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 ს. წ.;
- მშობელთა კრების ოქმიები;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. სადაც გათვალისწინებულია, როგორც პირველ კლასში ჩრიცხული მოსწავლის ასევე ნებისმიერი ახალი მოსწავლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. სკოლამ ინტერვიუების დროს გაგვიზიარა უკვე არსებული გამოცდილება, აღნიშნეს რომ სექტემბრის დასაწყისში ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო სივრცის გაცნობა, პირველ მასწავლებელთან შეხვედრა, ახალგადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართვა. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება. კლასის დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინიციატივების შესახებ მსჯელობა, დაგეგმვა და რეალიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა მოსწავლეებისაგან და მშობლებისაგან იღებს უკუკავშირის სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების განხორციელების შემდეგ. ასევე მშობელთა კრებებზე მშობლებს ეძლევათ საშუალება მიღებულ მომსახურებაზე გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, სურვილები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მომსახურებაში ცვლილებების შტანა, გაუმჯობესება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. მაგრამ სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით. გასულ წლებში სკოლა მასპინძლობდა ზიჟაურის აბუსერისძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სკოლის კურსდამთავრებულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. შეხვედრები ემსახურებოდა მოსწავლეთა პროფესიული და კარიერული დაგეგმვის მიზნებს. სკოლა აპირებს ხულოს პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“ მემორანდუმის გაფორმების გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;



სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ. აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისე ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში არის 2 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლის მხარდასაჭერად ისე ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბება და განიხილავს მოსწავლის წინა წელს მიღწეულ შედეგებს. მასზე დაყრდნობით დგება ახალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში (პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს) განიხილება ისე გეგმის შესრულების და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირების საკითხები. შეხვედრებში მონაწილეობას იღებს დირექცია და მოსწავლის მშობელი. გარდა ისე ჯგუფის შეხვედრებისა, რეგულარულად ხდება საგნის მასწავლებლების მშობელთან შეხვედრა და განიხილება მიღწევები და სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხები. სპეციალური მასწავლებელი ყოველწლიურად ესწრება ტრენინგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ისე ჯგუფის შექმნის ბრძანება
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტით, რომელსაც უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. 2023 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N14 (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000403) ხელშეკრულების საგანი დანართი 2-ით განსაზღვრული (ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლებისათვის) სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ტრანსპორტირება. სკოლა აღნიშნულ პროცესში პასუხისმგებელია მოსწავლეთა ყოველდღიურ რეგისტრაციაზე, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული ტრანსპორტით.

სკოლაში მოქმედებს უფასო მხატვრული წრე, რაც გათვალისწინებულია საშტატო განრიგით. საშტატო განრიგი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ტრანსპორტირებით სარგებლობენ ის მოსწავლეები, რომლებიც აკმაყოფილებენ 2023 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N14 (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000403) გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მხატვრული წრის მეცადინეობებზე დასწრება ნებაყოფლობითია, სასწავლო წლის დასაწყისში დგება მსურველების სია მშობლებთან და მოსწავლეებთან შეთანხმებით. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში, არამედ სწავლის პროცესშიც ემატებიან ხოლმე მსურველები. აღნიშნული მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

მოსწავლეები მგზავრობენ უსაფრთხო ტრანსპორტით, რომლებიც პერიოდულად გადის ტექნიკურ დათვალიერებას. ტექნიკური დათვალიერება გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

მხატვრული წრის ფუნქციონირება არ მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშტატო განრიგი.



2. ტრანსპორტირების აღრიცხვის ტაბელი.
3. 2023 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N14 (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000403)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/50 ბრძანებით);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები სასწავლო გეგმის განხილვა - დამტკიცებაზე;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ კათედრა მეტად ითანამშრომლებს, კერძოდ, IV; V; VI კლასის მასწავლებლები გაიზიარებენ I-III კლასის მასწავლებლების გამოცდილებას ბუნებისმეტყველების კურიკულუმზე მუშაობისას.

რჩევა, უცხოური ენები: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს და შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმატზე, სტილზე. მოხდეს კურიკულუმების (ინგლისური, რუსული) გადახედვა, რევიზია და შეივსოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმები შეიქმნას დაწყებითი საფეხურის სტანდარტზე დაყრდნობით: ჩასწორდეს სამიზნე ცნებები, გამოიკვეთოს ძირითადი საკითხები. დაწყებით საფეხურზე დამუშავდეს და გააქტიურდეს სამიზნე ცნება „კულტურათა დიალოგი“.

რჩევა, ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებისას უფრო სრულყოფილად შეივსოს სავალდებულო სტრუქტურული ერთეულები. სრულად დაიფაროს ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებები.

რჩევა, სახელმწიფო ენა: სასურველია შეივსოს რესურსების ველიც, რათა კურიკულუმი მოიცავდეს ყველა აუცილებელ ელემენტს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.11.2024-15.01.2025), მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში უზრუნველყოს შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალებების განსაზღვრა. ასევე, მე-2 მე-3 კლასის კურიკულუმებში, თითოეულ თემაში განსაზღვროს მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას.

რჩევა, უცხოური ენები: სასურველია, ინგლისური ენის მე-3 კლასის, რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაიწეროს კომპლექსური დავალების პირობა, სადაც გამოჩნდება ცოდნის კონსტრუირება, პროდუქტი და შეფასების კრიტერიუმები. სასურველია ინგლისური ენის მე-3, მე-5, მე-6 კლასების, რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმს დანართის სახით დაერთოს თემატური მატრიცები, სადაც გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები.

რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კარგი იქნება თუ IV; V; VI კლასის მასწავლებლები გაიზიარებენ პირველი კლასის მასწავლებლის გამოცდილებას ბუნებისმეტყველების კურსკულუმზე მუშაობისას.

რჩევა, სახელმწიფო ენა: საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში.

რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, დაკონკრეტდეს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს. კურიკულუმში ჩამოთვლილი ყველა სხვა საკითხების შემთხვევაშიც მიეთითოს თუ რომელი სამიზნე ცნების/ცნებების დამუშავება მოიაზრება თემის ფარგლებში განსაზღვრული სხვა ძირითადი საკითხების ფარგლებშიც. სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება და მნიშვნელოვანია საგნის კურიკულუმში ნათლად იყოს გამოკვეთილი სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები მე და საზოგადოება მე-3, მე-4 კლასები). სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები მე დაზოგადოება მე-3, მე-4 კლასები).

რჩევა, კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია განახლდეს ყველა კლასის კურიკულუმები. ჩასწორდეს სამიზნე ცნებები და მასში შემავალი საკითხები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.

რჩევა, მათემატიკა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები ასევე სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

რჩევა, უცხოური ენები: კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას.

რჩევა, მათემატიკა: სასურველია ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში დეტალურად იყოს განსაზღვრული სასწავლო რესურსი.

რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი. ასევე მატერიალური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

რჩევა, უცხოური ენები: სასურველია, კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

რჩევა, უცხოური ენები: სასურველია, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება.

რჩევა, სახელმწიფო ენა: წარმოდგენილი რუბრიკები არის ზოგადი. შეიქმნას შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისთვის (როგორც განმსაზღვრელი (მეხუთე-მეექვსე კლასისათვის), ისე განმავითარებელი).

რჩევა, მათემატიკა: სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის

ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება/დამუშავებაზე.

რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია შეფასების რუბრიკები ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების მიმართულებით დაეფუძნოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში.

რჩევა, კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია მასწავლებელმა შექმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლოტაქსონომის მიხედვით, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მივეცი მოსწავლეს). ვინაიდან, კომპლექსური დავალება აუცილებლად მიემართება რომელიმე სამიზნე ცნებას, მოსწავლის შეფასებაც დაკავშირებულია ამ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რომლებიც კრიტერიუმების სახით კომპლექსური დავალების პირობაში უნდა იყოს ჩაშენებული.

რჩევა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები სასწავლო გეგმის განხილვა - დამტკიცებაზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროექტი „ნენეს სკივრი“;
- კომპლექსური დავალების ნიმუში;
- რესურს ოთახის ამსახველი ფოტომასალა;
- სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ამსახველი ფოტომასალა/ვიდეომასალა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

რჩევა, ესთეტიკური აღზრდა: სასურველია შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

რჩევა, უცხოური ენები: კათედრამ წარმოადგინა მე-5 კლასის ინგლისური ენის შემაჯამებელი დავალების ანალიზი. სასურველია, დავალების თავისებურებების გათვალისწინებით, ინდიკატორების ჩამოყალიბება სტანდარტზე დაფუძნებით და მოსწავლის მიღწევის

დონეების გამოყოფა. უმჯობესია ქულები ყოველი კრიტერიუმის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე მიუწეროთ – ეს გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, ანალიზში ჩანდეს გამოვლენილი საჭიროებები და შესაბამისად, პრობლემის დაძლევის სტრატეგიები. კათედრის მიერ წარმოდგენილია პროექტის გეგმა ინგლისურ ენაში მე-3 კლასში, რომელსაც არ ახლავს ინფორმაცია პროექტის ამოცანებსა და მათი განხორციელების გზებზე. სამომავლოდ, კათედრამ შეიმუშავოს პროექტის ანგარიშის გეგმა, სადაც მკაფიოდ აღიწერება პროექტის ვადები, განხორციელების მიმოხილვა, წარმოშობილი სირთულეები და მათი დაძლევის გზები, მიღწეული შედეგები, გადაჭრილი პრობლემა, შესრულებული ამოცანა, მიღებული შედეგების მდგრადობა. ასევე სასურველია, ყველა თემის ფარგლებში შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია თუ მე-5 მე-6 კლასის პედაგოგები ითანამშრომლებენ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრასთან და გაიზიარებენ მათ გამოცდილებას შეფასების რუბრიკების შედგენისას (იგულისხმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N01-03/36 ბრძანებით).

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;



3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;

რჩევა, უცხოური ენები: სასურველია დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება და მათი მითითება, დაკონკრეტება შესასწავლი თემების მიხედვით.

რჩევა, კომპიუტერული ტექნოლოგიები: სასურველია მასწავლებელმა მოახდინოს სამინისტროს მიერ რეკომენდებული ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის <https://school.emis.ge/> გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნულ პლატფორმაზე მოცემული კომპლექსური დავალების ბარათები და მასში ჩაშენებული აქტივობების ბმულები შეიტანოს ყველა კლასის კურიკულუმის მე-6 ცარიელ სვეტში „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. *რეკომენდაცია:* სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.01.2025-15.9.2025), ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) უზრუნველყოს სერტიფიცირებული მასწავლებლის დასაქმება.

რჩევა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი: დაწყებით საფეხურზე, I-IV კლასებში სპორტს ასწავლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგი, სასურველია საგანს ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომელთაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ამსახველი ფოტო - ვიდეო მასალა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი „მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“ არ ფასდება;

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/50 ბრძანებით);
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ვინაიდან სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

2. ვინაიდან სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის N01-03/50 ბრძანებით).
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1	☐ შეესაბამება



კურიკულუმის შემუშავება	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

